საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

„დანიელა ურია“

„დანიელა ურია“, ქართული ხალხური სიმღერა, ქალაქური მუსიკალური ფოლკლორის დასავლური შტოს ერთ-ერთი ტიპური ნიმუში.

სიმღერის ადრესატი – დანიელა ურია, იგივე დანიელ იოსების ძე ჯანაშვილი დაიბადა 1876 კულაშელი ღარიბი ვაჭრის ოჯახში. მამამისი მას აღებ-მიცემობის საიდუმლოს ასწავლიდა, მაგრამ ბუნებრივმა მონაცემებმა – შესანიშნავმა ხმამ და მიმზიდველმა გარეგნობამ – განსაზღვრა მისი მომავალი.

იგი მამის დუქანში თავისი სიმღერით, შესანიშნავი ხმით (ლირიკული ტენორი) მრავალ მომხმარებელს იზიდავდა. მისი სიმღერები თანდათან გასცდა კულაშს, გავრცელდა თავდაპირველად ქუთაისსა და საერთოდ იმერეთში, შემდეგ კი გურია-სამეგრელოშიც და ლხინის აუცილებელი ატრიბუტი გახდა.

დ. უ. გარდაიცვალა 1926. ეს სიმღერა კი განაგრძობს არსებობას და გადაეცემა თაობიდან თაობას.

ა. თელია